

"დანაშაუდის სტატისტიკა იქნება ყოველთვის ღია"



ბიზნესასოციაციის წევრებთან შეხვედრაზე შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი გახარიამ ქვეყანაში უსაფრთხოების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დანაშაუდთან დაკავშირებით სტატისტიკა ყოველთვის ღია იქნება.

„ჩვენ როგორც კი წრის ბოლოს დავინიშნეთ სამინისტროში, მაშინვე ერთმნიშვნელოვნად, ყვედანაირი ფიქრის გარეშე გავვეცით დაპირება, რომ სტატისტიკა იქნებოდა ღია და სტატისტიკა არის ღია. შესაბამისად, ამ სტატისტიკის ნახვა ყვედასთვის არის შესაძლებელი. არის გარკვეული დანაშაულები, სადაც ბრდა გვაქვს და ეს აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო. არის დანაშაულები, სადაც, ასევე, გვაქვს კლება.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ვთქვათ, რომ მძიმე დანაშაულების ნაწილში, ასე თუ ისე, ნორმალურად მივდივართ, მაგრამ ყვედამ უნდა ვიცოდეთ ერთი რამ, რომ მართლწესრიგი, ეს არის გრძელვადიანი პერსპექტივა და სწორედ ამის გათვარისწინებით ტარდება სამინისტროში ის რეფორმები, რომლებიც, პირველ რიგში, ეხება კრიმინალურ პოლიციას, საგამოძიებო კომპონენტის გაძლიერებას, საპატრულო პოლიციის გაძლიერებას და ა.შ. ეს არის ჩვენთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი, მაგრამ, პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა ის, რომ სტატისტიკა იქნება ყოველთვის ღია და ჩვენი თანამშრომლები ყოველთვის იქნებიან მოწოდების სიმაღლეზე, რომ არასოდეს არც ერთი დანაშაული არ დაიმალოს.“ – განაცხადა გიორგი გახარია.

გიორგი გახარია თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე 25 წლის გოგოს მკვლელობის საქმეს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ბოლო წლების

განმავლობაში შეწყადების აქტით მიერ გათავისუფლებული მსჯავრდებულების რეციდივებით ჩანს, რომ საგანგაშო რიცხვზმა საუბარი.

„შემაკავებელი ორდერი დღეის მდგომარეობით არის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ის ინფორმაცია, რაც მიიღეს იმ მომენტში პოლიციელებმა, იძლეოდა მხოლოდ შემაკავებელი ორდერის გამოცემის საშუალებას. ეს არის ფაქტი. რაც შეეხება შსს-ის პასუხისმგებლობას, ჩვენ არასოდეს და არცერთი სიტყვით არ მოგვიხდენია პასუხისმგებლობის პერსონალიზირება ამ ტრაგიკულ შემთხვევასთან დაკავშირებით. ჩვენ ვთქვით, რომ არსებობს მართმსაჯულების ერთიანი სისტემის პრობლემები და ამ მართმსაჯულების სისტემის ერთ-ერთი კომპონენტი არის შეწყადების ინსტიტუტი, რომელსაც გარკვეული ფუნქცია ჰქონდა და ამაზე მივანიშნეთ,“- განაცხადა გიორგი გახარიაძე.